ჰერა HERA XXI

№6. 2016; ნოემბერი/დეკემბერი

საინფორმაციო ბიულეტენი
რეპროდუქციულ
ჯანმრთელობასა და უფლებებზე

სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში

მედია - ჩვენზე

საერთაშორისო ამბები

# სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში -საქართველო

## შეხვედრა ქუთაისში

ასოციაცია "ჰერა XXI"-ს წარმომადგენლებმა ქუთაისის "დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრა მოაწყვეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ "ჰერა XXI"-ს ქუთაისის ახალგაზრდული ჯგუფის წარმომადგენლები და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები, რომლებმაც ორგანიზაციასთან შემდგომი თანამშრომლობისა და მოხალისეობის სურვილი გამოთქვეს.

სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო ქუთაისელი სტუდენტებისთვის სექსუალური , რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების (სრჯუ) კუთხით საქართველოსა და მსოფლიოში არსებული ზოგადი სურათის გაცნობა, და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა და სრულყოფილი ჯანდაცვის მომსახურებით საგებლობა.

შეხვედრის დასასრულს, თითოეულმა მონაწილემ მოამზადა ერთგვარი გზავნილი მოკლეტექსტური შეტყობინების სახით, სადაც საზოგადოებას მეტი ინფორმირებულობისა და ჩართულობისკენ მოუწოდა.

## 10 ნოემბერს, სამცხე - ჯავახეთის უნივერსიტეტში სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა და კვლევის პრეზენტაცია გაიმართა

10 ნოემბერის შეხვედრას 20-მდე სტუდენტი და დაინტერესებული პირი დაესწრო. დასაწყისში მოკლე განმარტებები გაკეთდა იმაზე, რას ნიშნავს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები და რა მდგომარეობაა საქართველოში ამ კუთხით.

"ჰერა XXI-ის" თანასწორ-განმანათლებლებმა, თამარ ზაზაძემ და თამარ გოგოლაურმა სტუდენტებს კვლევის პირველადი შედეგები წარუდგინეს.

გამოკითხვა საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა და მისი მიზანი იყო ზოგადი სურათის შექმნა იმაზე, თუ რა ინფორმაციას ფლობენ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები სექსუალურ, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე. კვლევა ეხებოდა ამ თემებთან დაკავშირებულ კულტურულ ნორმებსა და სტერეოტიპებსაც.

ასევე შეხვედრაზე, "ჰერა XXI-ის" სტაჟიორმა, ჰედვიგ ბერნტელმა, სტუდენტებს გააცნო, სრჯუ-სთან დაკავშირებით რა საკითხებია აქტუალური ამჟამად შვედეთში და როგორ მუშაობს სამოქალაქო საზოგადოება ამ კუთხით.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია, სადაც მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები და შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებული იქნება ჰერა XXI-ის ახალგაზრდული მოძრაობის სამუშაო .

გადაცემა "ალტერნატიული აზრი„ ყოველ შაბათს, 18:00 საათზე ტელეკომპანია "აფხაზეთის ხმის" ეთერით გადაიცემა.

ამ პერიოდში გაშუქებული თემებია:

. პოპულაციის ზოგადი განათლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ,

. მედპერსონალის, განსაკუთრებით კი - ექთნების, ბებიაქალების, გინეკოლოგებისა და რეპროდუქტოლოგების უწყვეტი განათლების მნიშვნელობა,

.ნაადრევი ქორწინება და ის რისკები რაც ამ ქორწინებას ახლავს
.ჰორმონალური კონტრაცეფცია.
გადაცემების სანახავად გადადით მისამართზე - https://www.facebook.com/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%922663340/

## ქალზე ძალადობა დანაშაულია! შეაჩერე!

იცით, თუ არა, რომ 2015 წელს გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სატელეფონო ნომერზე „112“ ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით 15 910 გამოძახება დაფიქსირდა. პოლიციამ გამოძიება მხოლოდ 949 საქმეზე დაიწყო და მხოლოდ 2 727 შემთხვევაზე გასცა შემაკავებელი ორდერი. დანარჩენ შემთხვევებს გაგრძელება არ მოჰყოლია.
25 ნოემბერს, „ქალთა მოძრაობამ" ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის საერთაშორისო დღეს მსვლელობა გამართა, რომელსაც ასოციაცია „ჰერა XXI"-ი შეუერთდა.მსველობის ორგანიზატორები შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ითხოვენ სპეციალური დანაყოფის შექმნას, რომელიც გენდერულად მოტივირებულ დანაშაულებზე იმუშავებს და რომელსაც ექნება შესაფერისი ცოდნა და მანდატი.

## მსვლელობას, „არ დავთმოთ ღამე" ასოციაცია "ჰერა XXI"-ი შეუერთდა

"ფემინისტების დამოუკიდებელმა ჯგუფმა" , 25 ნოემბერს, 9 საათზე მოაწყო მსვლელობა სახლეწოდებით - "არ დავთმოთ ღამე" და ამით დაუპირისპირდა სექსუალური ძალადობის ყველა ფორმას. მსვლელობას დაიწყო მარჯანიშვილის თეატრიდან და დასრულდა დედაენის ბაღში. აქცია მსვლელობას შეუერთდა ასოციაცია "ჰერა XXI"-ი.
„არ დავთმოთ ღამე" საერთაშორისო ღონისძიებაა, რომლის მიზანია სექსუალური ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მისი აღმოფხვრა.
ღონისძიება 1970–იანი წლებიდან მოყოლებული ყოველწლიურად 30–ზე მეტ ქვეყანაში იმართება.
სექსუალური შევიწროება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები ქალებისა და გოგონებისთვის ყოველდღიურობის ნაწილია. ის ყველგან გვხვდება: როგორც ქალაქებში, ისე ქალაქებს გარეთ, განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.ქალები და გოგონები საჯარო სივრცეებში აწყდებიან სექსუალური შევიწროების, ძალადობის, გაუპატიურებისა და ფემიციდის რისკს.
ეს ხდება ქუჩაში, საჯარო ტრანსპორტში, პარკებში, სკოლებსა და სამუშაო ადგილებში. გარემო ქალებისა და გოგონების გადაადგილების თავისუფლებას ზღუდავს, ხელს უშლის მათ აქტიურ მონაწილეობას საჯარო ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და ხშირად გამორიცხავს მათ ჩართულობას კულტურულ და რეკრეაციულ ღონისძიებებში. მაშინ, როდესაც პირად სივრცეში ძალადობა (ოჯახში ძალადობა) ასე თუ ისე, აღიარებული პრობლემაა, საჯარო სივრცეებში ძალადობა ჯერ კიდევ უხილავ და დაურეგულირებელ პრობლემად რჩება.
სექსუალური შევიწროება დასჯადი არ არის არც სისხლის სამართლის და არც სხვა დარგის კანონმდებლობით. „არ დავთმოთ ღამე" ქალებს შესაძლებლობას აძლევს, აიმაღლონ ხმა ხმა კანონის წინააღმდეგაც!
აქციის ორგანიზატორები გამოდიან შემდეგი ლოზუნგებით::
ჩვენ, ქალები, ვითხოვთ უსაფრთხო საჯარო სივრცეს!
ჩვენ, ქალები, ვითხოვთ სათანადოდ ვიყოთ დაცულები კანონმდებლობით!

## 1 დეკემბერს შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა

1 დეკემბერს შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება, რაც შიდსის პანდემიის მიმართ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.
ასოციაცია "ჰერა XXI"-ი ყოველდღიურად აივ ინფექცია/შიდსის შესახებ მითებზე გიამბობთ.

## 1 დეკემბერს, ქუთაისში, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რამდენიმე აქცია გაიმართა.

1 დეკემბერს შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება, რაც შიდსის პანდემიის მიმართ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.
შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის ფარგლებში „ჰერა XXI"-ის ინიციატივით ქუთაისში ჩატარდა უფასო კონსულტირება და ტესტირება აივ ინფექცია/შიდსზე, გაიმართა საზოგადოებრივი მსველობა და ფილმის ჩვენება/დისკუსია.
ღონისძიებები მიზნად ისახავდა შიდსით დაავადებული ადამიანების მიმართ საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციის დონის შემცირებას და საზოგადოებრივი მხარდაჭერის ფორმირებას.ღონისძიების ორგანიზატორები არიან: ასოციაცია „ჰერა XXI", ჯგუფი PAPA, "თანადგომას" ქუთაისის ოფისი, "ახალი გზა","განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი" და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი და სტუდენტური თვითმმართველობა.
ვიდეოს სანახავად ეწვიეთ ბმულს - https://www.youtube.com/watch?v=nro_lD3azPI

## მედია ჩვენზე

## 1 დეკემბერი - შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

1 დეკემბერს, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის ფარგლებში ასოციაცია "ჰერა XXI" მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია "რიონის" შუა დღის შოუში.
გადაცემის სტუმრები არიან:
* ნინო ცქიფურიშვილი - ასოციაცია "ჰერა XXI"-ს ახალგაზრდული პროექტების კოორდინატორი
* მადლენა ხუციშვილი - ჯგუფი „PAPA"-ს კოორდინატორი
* გოჩა გიორგიძე - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი.ვიდეოს სანახავად ეწვიეთ ბმულს - https://www.youtube.com/watch?v=OrmVALOVQpk&feature=youtu.be

## 1 დეკემბერი - შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

1 დეკემბერს, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის ფარგლებში ასოციაცია „ჰერა XXI" გადაცემა "ჩაი თუ ყავას" სტუმრობდა მეგა TV -ის ეთერში.
გადაცემის სტუმრები არიან
• ნინო ცქიფურიშვილი - ასოციაცია "ჰერა XXI"-ს ახალგაზრდული პროექტების კოორდინატორი
• ზაზა ქარჩხაძე - ორგანიზაცია „ახალი გზა" პროექტის კოორდინატორი
ვიდეოს სანახავად ეწვიეთ ბმულს - https://www.youtube.com/watch?v=xqPm5s1hdP4&feature=youtu.be

## მხატვრული ფილმის "ასმა" ჩვენება გაიმართა

შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხატვრული ფილმის "ასმა" ჩვენება გაიმართა. ფილმის ჩვენება ასოციაცია

ასოციაცია "ჰერა XXI-ს" და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ორგანიზებით მოეწყო.
სტატიის სანახავად ეწვიეთ ბმულს - http://www.radiodk.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/article/13780-mkhatvrulifilmisasmachvenebagai

## „ოჯახის დაგეგმვის ხარისხი ან სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ქალთა უფლებების რეალიზება“

სამშაბათს, 20 დეკემბერს, ასოციაცია „ჰერა XXI“-მა ქ.ბორჯომში სასტუმრო“RIXOS,,-ში ჩაატარა კონფერენცია თემაზე: „ოჯახის დაგეგმვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ქალთა უფლებების რეალიზება“.
კონფერენციის ფარგლებში მოხდა 2015-2016 წელს განხორციელებული კვლევის ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია სახელწოდებით: „აბორტის სერვისის ხელმისაწვდომობის და მზაობის შეფასება„ ღონისძიების ბოლოს გაიმართა დისკუსია და შემუშავდასამომავლო რეკომენდაციები.

კვლევა ჩატარდა 2015-2016 წლებში, კვლევის მიზანი იყო საქართველოში აბორტის სერვისებზე ხელმისაწვდომობის და მზაობის შეფასება, აღნიშნული კვლევის ფარგლებში მოხდა საქართველოში ოჯახის დაგეგმვის სერვისების, მათ შორის აბორტის მომსახურების ხარისხის, ხელმისაწვდომობის და ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების რეალიზაციის შეფასება. კვლევა განხორციელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 100 სამედიცინო დაწესებულებაში მოხდა შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა აბორტის სერვისის მიღებასთან დაკავშირებული შემდეგი ტიპის პრობლემები: სამედიცინო დაწესებულებების კეთილმოწყობის პრობლემა, პროტოკოლის მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვის პრობლემა, სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ხარისხის კონტროლის მექანიზმების არარსებობა, აბორტის სერვისის არასრულყოფილად მიწოდება, პაციენტთა უფლებების დარღვევა, აბორტის სერვისის ტერიტორიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა, ქალთა დაბალი ინფორმირებულობა ოჯახის დაგეგმივის სერვისებთან დაკავშირებით.
ღონისძიების ბოლოს მონაწილეებმა იმსჯელეს კვლევის ძირითად მიგნებებზე და შედეგებზე, რის საფუძვლადაც შეიმუშავეს სამომავლო რეკომენდაციები, რომელიც იქნება წარდგენილი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

## საერთაშორისო ამბები

## ასოციაცია „ჰერა XXI” აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრას დაესწრო

2016 წლის 2-3 ნოემბერს, ქ.კიევში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრის ძირითად მიზანს პროგრამული დოკუმენტის შემუშავება წარმოადგენდა, რომელიც ახალგაზრდა მოწყვლადი ჯგუფების ძირითად საჭიროებებს ასახავს აივ ინფექციისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით.
შეხვედრა გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNPA) და საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის (IPPF) ორგანიზებით ჩატარდა .
საქართველოდან სამუშაო პროცესში ჩართული იყო ასოციაცია “ჰერა XXI“ -ის, გაეროს მოსახლეობის ფონდის, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა“-ს, „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-სა და „შიდსის ცენტრი“-ს წარმომადგენლები
2015 წელს საქართველოში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, უკრაინაში, სერბიაში, ალბანეთში, ბოსნია და ჰერცოგოვინასა და მაკედონიაში ჩატარდა კვლევები 18-24 წლამდე ახალგაზრდებთან, კერძოდ გამოიკითხა: მსმ კაცები, სექსმუშაკები, ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებლები და ახალგაზრდები, რომლებიც დაავადებულნი არიან აივ-ინფექცია/შიდსით. კვლევის მიზანი იყო სიტუაციური ანალიზი და ახალგაზრდა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გამოვლენა. კვლევის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის, შეიქმნება ძირითადი პროგრამული ჩარჩო დოკუმენტი რეკომენდაციებით, ქვეყნის საქმოქმედო გეგმა/პროგრამული სახელმძღვანელო, სადაც განისაზღვრება უშუალო პროექტები და აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება ქვეყანაში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. აღნიშნული დოკუმენტი უკვე რამოდენიმე თვეში იქნება ხელმისაწვდომი.
სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა მაგდა კოსტავა, არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია „ჰერა XXI"-ს პროექტების კოორდინატორი: - „პროექტის ფარგლებში პირველი შეხვედრა ჩატარდა საქართველოში, 2015 წელს, თითოეულმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, რომელიც ჩართული იყო კვლევაში ახალგაზრდა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისა და პრობლემების გამოსავლენად, რომელშიც ასახა ამ სფეროში არსებული ყველა პრობლემატური საკითხი, შეხვედრას ესწრებოდა ყველა ქვეყნის ორგანიზაციის წარმომადგენელი, ასევე სათემო ჯგუფის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, რომელთაც ეხებათ კვლევაში ასახული სხვადასხვა პრობლემები.
შეხვედრაზე გახილული იყო კვლევების წარმართვის სირთულეები, განვიხილეთ სხვადასხვა პროგრამებისა და აქტივობების იმპლემენტაციის საკითხები და პერსპექტივები, რა მდგომარეობა აქვს ქვეყანას აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, რა არის შესაცვლელი, ასევე მოხდა საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება და მიდგომების გაცვლა პრობლემების მოსაგვარებლად.

ქვეყნის სამოქმედო გეგმის შედგენისას ასოციაცია "ჰერა XXI" იყო ჩართული რეკომენდაციების შემუშავების პროცესში, გავუზიარეთ ახალგაზრდებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, თუ რა პრობლემური საკითხებია იდენტიფიცირებული ჩვენი 20 მუშაობის პერიოდში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებში, მაქსიმალურად ვეცადეთ ასახულიყო ამ სფეროში არსებული ყველა პრობლემატური საკითხი, განვიხილეთ ის შესაძლო აქტივობები, რომლებიც რელევანტურია ჩვენი ქვეყნისთვის მომავალში განსახორციელებლად - განაცხადა მაგდა კოსტავამ.

## ჰერა „XXI"-მა ახალგაზრდულ ფორუმში მიიღო მონაწილეობა

პარასკევს, 9 დეკემბერს, ასოციაცია „ჰერა XX-I"-მა ახალგაზრდულ ფორუმში მიიღო მონაწილეობა. ფორუმი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზატორი გაეროს მოსახლეობის ფონდის თბილისის ოფისი და „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი" იყო.

გახსნის ცერემონიაზე ხაზი გაესვა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მნიშვნელობას როგორც ინდივიდების, ისე ქვეყნის განვითარების პროცესში. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ჰქონდეთ ამ საკითხებზე ინფორმაცია. ეს მათ გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება და შეძლებენ, უკეთ დაგეგმონ საკუთარი მომავალი.

ფორუმის მონაწილე ახალგაზრდებმა ქვეყანაში სრჯუ კუთხით არსებულ პრობლემებსა და გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. დღის ბოლოს კი წარმოადგინეს რეზოლუციები, რომელთა საბოლოო ვერსია გასაცნობად სამინისტროებს გადეგზავნება.

## საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია ასოციაცია "ჰერა XXI„-ს მიერ

## დაგვიმეგობრდით სოციალურ ქსელ Facebook-ში და გაიგეთ მეტი ჰერა XXI-ის შესახებ ყოველდღიურ რეჟიმში.

ჰერა HERA XXI

ჯანმრთელობა განათლება უფლებები ალტერნატივა

HEALTH EDUCATION RIGHTS ALTERNATIVE